საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით მამუკელაშვილი

კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის როლი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სადოქტორო პროგრამა:

აგრარული ეკონომიკა

შიფრი 0701

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
აგროინჟინერიის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი

რეცენზენტები : პროფესორი ნოდარ ჭითანავა

პროფესორი თამაზ კუნჭულია

დაცვა შედგება 2020 წლის 25 ივლისს, 12 საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის (ეკონომიკა; აგროეკონომიკა) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებ გვერდზე

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი

პროფ. ნატო ჩიკვილაძე

Resume

David Mamukelashvili's thesis work "The Role of Cooperation and Agro-industrial Integration and Development Prospects in Georgia" is dedicated to the impact of agricultural cooperation on industrial development of the population directly involved in the agricultural production. The work consists of three chapters:

Chapter one of the work deals with the major motives of the development of agricultural cooperation in Georgia, where the current economic standing of the agricultural production and rural population, as well as analysis of increased migration; the earlier problem settlement attempts are analyzed; a counterfactual analysis of organizational set-up of the agricultural activity is made, by which the special and indispensable significance of agricultural cooperation in the implementation of a complex process of overcoming rural poverty, entrepreneurial activation of rural population and rapid economic growth is documented. The impact of processing industry, as of basic value adder in manufacturing, on cooperative shareholders' income is interpreted differently and the efficiency of an organic interrelation between agricultural production and processing within a cooperative is argued. The necessity of categorical assessment and actualization of the issue concerning identification of a benefiter of income rise from value added manufacturing and why ignoring of this issue or the unmethodical and unfounded approach to it give rise to a negative result.

Chapter two of the work considers legal regulation of the agricultural cooperation process and the rules of industrial relations, which represent the main identification component of agricultural cooperative's organizational form and the introduction of the rules proper creates an environment, wherein the high degree of return of labor resources of the population directly involved in agricultural production rather than the prospects of getting dividends from the material resources contributed to the share fund represents the factor determining the rural entrepreneurial activity. It is well reasoned why the rules of industrial relations of a cooperation system represent a basis of minimizing industrial risks, stability, sustainable development and vitality, through which a system based on highly efficient economy, social solidarity and justice is being formed. For the main components of the industrial relations the author has developed the mandatory share contribution and income distribution formulas. They make possible software modeling of these components, which will significantly facilitate (especially in cooperatives) the identification of the size of mandatory contribution of each shareholder and the calculation of dividends. The same chapter presents the experience of stage-by-stage development and legal regulation of agricultural cooperation in advanced countries, where the state support was mostly targeted to the assistance of a producer of agrucltural products and where the society and the State adequately undertstood the special and indispensable mission of cooperation system in the country's development. The role of cooperation processes in the economic strengthening and democratization of these countries is described.

Chapter three of the work deals with the issues of state support and regulation of the cooperative sector, which encompass perfection of the regulatory framework and tax exemptions for agricultural cooperatives. The same chapter analyzes the problems associated with attraction of investments and the measures necessary for forming a cooperative agrocredit system. The necessity of existence of a coordinating institution as a membership-based non-entreprenurial (non-commercial) legal entity is grounded. The structure of organizational set-up of this institution and the agricultural cooperative infrastructure is presented.

Conclusion concerns the generalized results of the study and its resume.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

ქართული სოფელი წლების განმავლობაში უდიერი დამოკიდებულების და არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამო უაღრესად დაკნინებულია. ასეთ პირობებში ამ რთული და არაერთგვაროვანი სისტემის კრიზისიდან გამოსვლა და განვითარება, შესაბამისი დაცვითი მექანიზმების და დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ არსებულ გარემოებასთან მიმართებაში, აუცილებელია ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისებრივად ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოვლინდეს სიღარიბის წარმომქმნელი გარე და შიდა ფაქტორები და შემუშავდეს მათი დაძლევის მექანიზმები. ბოლო, თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა ეკონომიკურმა პროცესებმა კიდევ უფრო გამოკვეთა ის საკითხები, რომელიც უკავშირდება სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი არასწორ, ხშირ შემთხვევაში უარყოფითი შედეგების გამომწვევ პოლიტიკას.

როგორი იქნება სქართული სოფლის მომავალი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება გაანალიზებული და შეფასებული ძირეული პრობლემები, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მისი განვითარების პროგრესული ხედვების ჩამოყალიბება და სათანადო პროექტების შემუშავება. სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ცალსახად და კატეგორიულად იქნას განსაზღვრული, რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს სოფლად სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- სოფლის მოსახლეობის ინკლუზიურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პრიორიტეტულობის დასაბუთება;

- კოოპერაციული სისტემის ფარგლებში არგოსამრეწველო ინტეგრაციის როლის უპირატესობის დასაბუთება სხვა სამეწარმეო ფორმებთან მიმართებაში;
- კოოპერაციული სისტემის შიდასაწარმოო ურთიერთობის წესების დადებითი გავლენის დასაბუთება სამეწარმეო რისკების შემცირებაზე და კოოპერატივების სიცოცხლისუნარიანობაზე;
- კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების ძირითადი კომპონენტების: მეპაიეების საპაიო შენატანების და დივიდენდების გაანგარიშების პროგრამული მოდელირება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისებრივად ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფორმირების და სისტემური მიდგომების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის მაკოორდინირებელი, მაორგანიზებელი და მხარდამჭერი ორგანოს არსებობის აუცილებლობის დასაბუთება, წევრობაზე დაფუძლებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით;
- კოოპერაციის ლოკალური გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრა, სათემო კოოპერატივების პრიორიტეტულობის დასაბუთებით;
- კოოპერაციული აგროსაკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემების ორგანული ურთიერთკავშირის აუცილებლობის დასაბუთება;
- სამეწარმეო საქმიანობის კოოპერაციული მოდელის და შიდასაწარმოო ურთიერთობების წესების დადებითი გავლენის დასაბუთება კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შემცირებაზე.

სამუშაოს მიზანი

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის აქტუალობისა და განვითარების პერსპექტივების შეფასება;

- კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის აქტუალობისა და განვითარების პერსპექტივების შეფასება;
- კოოპერატივის ფარგლებში ვერტიკალური ინტეგრაციის ეფექტიანობის შეფასება;
- კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების კვლევა და სამეწარმეო რისკებზე მისი გავლენის შეფასება;
- საერთაშორისო გამოცდილების კვლევა და გამოყენება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ფორმებისა და მეთოდების დასადგენად;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გავლენის შეფასება.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

- საქართველოში სასოფლო-სამურნეო კოოპერატივების განვითარების მდგომარეობა;
- საერთაშორისო გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების და სამართლებრივი რეგულირების კუთხით;
- საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის და კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის განვითარების პერსპექტივები.
- სასოფლო-სამურნეო კოოპერაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა, მისი ნაკლოვანებები და დახვეწის გზები;
- სასოფლო-სამურნეო კოოპერატივებისათვის კრედიტებზე ხელმისაწვდომობის და კოოპერაციული ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები.

კვლევის მეთოდოლოგია

კომპლექსურად მოხდა კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და ზოგადსამეცნიერო შემეცნების, ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, შედარებისა და ლოგიკური მოდელირების, საექსპერტო და სტატისტიკური შეფასების მეთოდების გამოყენება. სწორედ ამან განაპირობა

კვლევის თეორიული მნიშვნელობა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ხელახლა მოხდა თანამედროვე ქართული და უცხოური მეცნიერული მიღწევების (ნაშრომები, მონოგრაფიები, პერიოდული პუბლიკაციები), კონსალტინგური ჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების გააზრება.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა

საქართველისათვის არსებულ ისტორიულ პერიოდში აუცილებელია პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემური ცვლილებები (რეფორმები), რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომებზეა დაფუძნებული და გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლების და ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიურ ზრდას, მასობრივ დასაქმებას და უზრუნველყოფს სამეწარმეო განვითარების გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას.

ქმედუნარიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელია გაცნობიერება, რომ არსებულ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებული აქტუალობის პრობლემას და სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მოცემულობას. ამისათვის მნიშვნელოვანია, ადექვატურად იყოს გააზრებული ქვეყნის განვითარებაზე კოოპერაციული სისტემის განსაკუთრებული გავლენა და სახელმწიფომ, განვითარებული ეკონომიკის არაერთი ქვეყნის მსგავსად, შეასრულოს ამ პროცესის მაკოორდინირებელი, მაორგანიზებელი და მხარდამჭერი ფუნქცია.

სახელმწიფო მხარდაჭერით და რეგულირებით აქტიურდება ის ფუნქციები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო ბერკეტებით. მათი დაბალანსებული ურთიერთქმედებით ხორციელდება ქმედუნარიანი მხარდაჭერა, რაც წარმოადგენს მიზნობრივ პროექტების წარმატების საფუძველს. მხარდაჭერის და რეგულირების ფორმები და მეთოდები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს დარგების რეალურ მდგომარეობასთან, ხოლო ზემოქმედების მასშტაბი დამოკიდებულია სამეწარმეო საქმიანობის განვითარების დონეზე.

განვითარების არსებულ ეტაპზე, საქართველოში სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ კოოპერირება აძლევს ორი საწყისის გაერთიანების შესაძლებლობას: საკუთრების, რომლის მიხედვით მის მფლობელს ეძლევა არჩევანის თავისუფლება და მასშტაბური წარმოების, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ-ტექნოლოგიურ უპირატესობას და ავტორიტეტსა და წონას ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებზე.

უარყოფა იმისა, რომ არსებულ პირობებში სოფლად კოოპერაციული პროცესების მხარდაჭერა სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის იგნორირება და შესაბამისი აქტივობების გატარების მიმართ არაადექვატური დამოკიდებულება, ქმნის მწვავე პრობლემებს, რაც უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს აგრარულ სექტორში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე.

ნაშრომში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შიდასაწარმოო ურთიერთობების მთავარი კომპონენტების: საპაიო შენატანის და მეპაიეებზე მოგების განაწილების პროგრამული მოდელირების ფორმულები, რომელიც კოოპერატივების მმართველ პირებს გაუადვილებს ამ კომპონენტების გაანგარიშებას, რაც მიმდინარე პერიოდში მნიშვნელოვნად ართულებს კოოპერატივებში საქმისწარმოებას (განსაკუთრებით მრავალწევრიან კოოპერატივებში).

წარმოდგენილი საკითხების სისტემური გადაწყვეტა უზრუნველყოფს აღწარმოების გაუმჯობესებას, მეურნეობრიობისათვის აუცილებალ პირობებს და კონკურენტუნარიან წარმოებას, რაც შექმნის მყარ ფუნდამენტს საქართველოში ძლიერი კოოპერაციული სისტემის ფორმირებისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებისთვის. მსოფლიოს არაერთი განვითარებული ქვეყნის კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის გამოცდილება იძლევა მდიდარ მასალას მათი პრაქტიკული და სამეცნიერო განზოგადებისათვის.

დისერტაციის მეთოდური დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სასწავლო პროგრამებში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომში დასაბუთებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განსაკუთრებული მისია სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურების, მასობრივი დასაქმების, ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის, სამეწარმეო განვითარების გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებული გარემოს ფორმირების და სიღარიბის დაძლევის რთული პროცესის განხორციელებაში.

მიმდინარე პერიოდში, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტენსიური განვითარებით მიიღწევა სისტემურ-სინერგიული ეფექტი მისი შემადგენელი კომპონენტების (ეფექტების) ინტეგრირების საფუძველზე:

ეკონომიკური ეფექტი: პირველადი პროდუქციის წარმოება-გადამუშავების ჰორიზონტალურად და ვერტიკალურედ ინტეგრირებული საწარმოო პროცესის განხორციელება და დამატებული ღირებულების გენერირება, სადაც ყოველ ეკონომიკურ საფეხურზე დამატებული ღირებულება იზრდება და პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებს უჩნდებათ შესაძლებლობა, მიიღონ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის შექმნით განხორციელდება:

- პროდუქტების წარმოებაზე დანახარჯების შემცირება;
- მასშტაბური წარმოება და მასშტაბის ეფექტის გამოყენება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული პირების შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა;
- მიმზიდველი საინვესტიციო გარემო - სადაც ინვესტირების მოცულობა ერთ დასაქმებულ პირზე, გაცილებით ნაკლებია სხვა სამეწარმეო ფორმების ბიზნეს-პროექტების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით;

- საბაზრო სეგმენტებისთვის პროდუქციის არა იმპულსური, არამედ სტაბილური მიწოდება;
- სამეწარმეო რისკების შემცირება;
- სიღარიბის აღმოფხვრა;
- მიგრაციული პროცესების შეჩერება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ სისტემაში, საწარმოო პროცესები ექცევა ერთიანი ციკლის ფარგლებში, საიდანაც მიღებული წმინდა მოგება მთლიანად პირველადი პროდუქციის მწარმოებელი მეპაიეების შემოსავლების ზრდას ემსახურება. ასეთი ეკონომიკური სისტემის წევრები, დაინტერესებული იქნებიან აწარმოონ უფრო დიდი რაოდენობის და მაღალი ხარისხის პროდუქცია და გაუწიონ კონტროლი კოოპერატივის საქმიანობას სამეწარმეო ციკლის ყველა დონეზე.

სოციალური ეფექტი:

- საზოგადოებაში სოციალური პოლარიზაციის დონის შემცირება;
- მოსახლეობის სამეწარმეო განვითარებისთვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა;
- სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარული პასუხისმგებლობის გარემოს ფორმირება;
- ინკლუზიური სამეწარმეო განვითარება;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სოფლად მოსახლეობის მასობრივი დასაქმება.

ეკონომიკური თვითმმართველობა: თვითანაზღაურება, თვითკონტროლი, თვითრეგულირება, სადაც მოქმედებს დემოკრატიული მართვის სისტემა, პრინციპით „ქვევიდან ზევით“ და საფუძველშივეა გამორიცხული მმართველი პირების არაკომპეტენტური, სუბიექტური გადაწყვეტილებებით გამოწვეული ნეგატიური ფაქტორები და მართვის სისტემის ბიუროკრატიზაცია.

მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა:

საქართველოში მცირემიწიანი მოსახლეობისთვის (რომელიც სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს), მხოლოდ კოოპერაციულ პროექტებს გააჩნია მდგრადი განვითარებისა და

სიცოცხლისუნარიანობის ობიექტური საფუძველი, რადგან მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის მხოლოდ კოოპერაციული სისტემის ფარგლებში არის შესაძლებელი მასშტაბური წარმოება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილის აკუმულირება აღწარმოებაზე, რასაც ამ კატეგორიის მეურნეები დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ, რადგან დაბალი უკუგების გამო, მათი მთელი შემოსავალი გამოიყენება სამომხმარებლო მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომში დასაბუთებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც ორგანიზაციული ფორმის ინდენტობის განმსაზღვრელ მთავარ კომპონენტს, რადგან მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, მხოლოდ ამ წესების დანერგვით იქმნება სოფლად წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის გარემო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის სამეწარმეო რისკების მინიმუმამდე დაყვანის და შრომის უკუგების მაღალ ხარისხს განაპირობებს.

წარმოდგენილი ცვლილებებით და დატებებით კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შიდასაწარმოო ურთიერთობების მოწესრიგება, წევრთა შრომითი რესურსების მაღალ უკუგებაზე ორიენტირებული გამართული კოოპერაციული მოდელის ჩამოყალიბება და ამ პროცესის მაკოორდინირებელი ინსტიტუტის შექმნა, წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით, რომელსაც, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, გაუჩნდება შემდეგი შესაძლებლობები:

- კოოპერატივში შევიდეს როგორც ასოცირებული წევრი და გახდეს მისი ბიზნეს-პარტნიორი;
- მიიღოს დივიდენდი კოოპერატივის მოგებიდან, კანონმდებლობით დადგენილი კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების წესების შესაბამისად;

- უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა კოოპერატივის მართვაში (შეიყვანოს მისი წარმომადგენლები კოოპერატივის გამგეობაში ან/და სამეთვალყურეო საბჭოში);
- გააუმჯობესოს ინვესტირებული თანხების ქმედითუნარიანობა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს კოოპერატივის მმართველი რგოლების შეცდომებით ან/და არაკომპეტენტურობით გამოწვეულ რისკები;
- უზრუნველყოს კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- უზრუნველყოს კოოპერაციული თვითმმართველობის კომპონენტების (თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი) ამოქმედება;
- კოოპერატივის მმართველ რგოლებთან ერთად შეიმუშავოს კოოპერატივის განვითარების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გეგმები;
- კოორდინაცია გაუწიოს კოოპერატივში საკუთარი კაპიტალის გენერირების პროცესს და უზრუნველყოს კოოპერატივის გეგმაზომიერი გადასვლა თვითდაფინანსებაზე;
- მისი წევრი კოოპერატივებიდან მიიღოს საწევრო გადასახადები.

ნაშრომში დასაბუთებულია კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც მოაგვარებს კრედიტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას და ხელს შეუწყობს წარმოების მასშტაბების და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას; დასაბუთებულია კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის ორგანული ურთიერთკავშირის აუცილებლობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ სისტემასთან.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება 169 გვერდზე შესრულებული კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტისგან, რომელიც მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, სამ თავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

ნაშრომის ძირითადი შედეგები

ნაშრომის პირველ თავში ავტორი განიხილავს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ძირითადი მოტივებს, სადაც წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის მოსახლეობის არსებული ეკონომიკური მდგომარეობის, გაძლიერებული მიგრაციის გამომწვევი მიზეზების და პრობლემის გადაწყვეტის წინა მცდელობების ანალიზი.

ამავე თავში დასაბუთებულია, სოფლის მოსახლეობის სამეწარმეო განვითარების მხარდაჭერის სწორი მიდგომების შემუშავების მიზნით, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის, ზემოქმედების პრიორიტეტული სამეწარმეო ფორმის განსაზღვრის აუცილებლობა. ამისათვის წარმოდგენილია სხვადასხვა სამეწარმეო ფორმების კონტრფაქტორული ანალიზი, რითაც დასაბუთებულია, არსებულ პირობებში, მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის (რომელიც დღეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს) სამეწარმეო განვითარებითვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების აუცილებლობა.

მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა ძირითადად ხასიათდება არაორგანიზებულობით, არა აქვს პროდუქტების წარმოებისა და საბაზრო სეგმენტებზე ოპერირებისათვის საჭირო კვალიფიკაცია, ნაკლებად არის ჩართული დამატებული ღირებულების შექმნის, მოსავლის შემდგომი გადამუშავებისა და ბაზრებთან ინტეგრირების პროცესებში, არ შესწევს პრობლემების საერთო ძალებით გადაჭრის უნარი, უმეტეს შემთხვევებში არ გააჩნია საბანკო კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფის რესურსი. აქედან გამომდინარე, მათი ინდივიდუალური მხარდაჭერა დაკავშირებულია რთულ, თითქმის გადაუჭრელ ორგანიზაციულ საკითხებთან და მაღალ სამეწარმეო რისკებთან, განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების არასაკმარის შესაძლებლობებთან, არასათანადო საკადრო რესურსებთან და მაღალ დანახარჯებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მცირემიწიანი მეურნეების ინდივიდუალური მხარდაჭერის განხილვა პოლიტიკის პრიორიტეტის რანგში არამიზანშეწონილია, რადგან იგი დაკავშირებულია მაღალ სამეწარმეო რისკებთან და რთულ, პრაქტიკულად გადაუჭრელ ორგანიზაციულ საკითხებთან.

ახლებურადაა გააზრებული გადამმუშავებელი მრეწველობის, როგორც დამატებული ღირებულების ძირითადი შემქმნელის გავლენა კოოპერატივის მეპაიეთა შემოსავლებზე და დასაბუთებულია კოოპერატივის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და გადამმუშავებელ საწარმოს შორის ორგანული ურთიერთკავშირის ეფექტიანობა. დასაბუთებულია კატეგორიული შეფასების და აქტუალიზაციის აუცილებლობა საკითხზე, თუ ვისი შემოსავლების ზრდას ემსახურება პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებით მიღებული დამატებული ღირებულება და რა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოიტანოს ამ პრობლემის უგულებელყოფამ ან მის მიმართ უსისტემო, ირაციონალურმა პოლიტიკამ. შპს-ს ფორმის გადამმუშავებელი საწარმოების იმანენტური მახასიათებელია - თავისი საწარმოო ხარჯების შემცირების მიზნით, ნედლეულის შესყიდვა მინიმალური, უმეტეს შემთხვევაში პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ნედლეულის) მწარმოებლებისთვის დისკრიმინაციული ფასებით. ინტერესთა ასეთი შეუთავსებლობა განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლების ინტერესის დაკარგვას წარმოების მიმართ, რაც თავის მხრივ იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტაგნაციას, მიგრაციული პროცესების გაძლიერებას და სოციალური სფეროს მოშლას.

შპს-ებს და სხვა კერძო ბიზნეს-სუბიექტებს თავისი მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ თუ არსებობს მოსახლეობის ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და შესაბამისი პროგრამები, რომლებიც ზემოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების განვითარებაზე, მაშინ ამ მიმართულებათა

იგნორირება, ან მათი განხილვა ტიპური კერძო ბიზნეს-პროექტების პარიტეტულად, უნდა ჩაითვალოს როგორც სერიოზული მეთოდოლოგიური შეცდომა.

აღნიშნული პოზიცია არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს ეკონომიკურ პროექტებში სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის წინა პლანზე წამოწევით, რამდენადმე უნდა შეიზღუდოს განვითარების წმინდა ეკონომიკური ასპექტი. პირიქით, სწორედ ძლიერი ეკონომიკური მექანიზმი იძლევა მატერიალური დოვლათის განაწილების ორი ძირითადი პრინციპის - ეკონომიკურისა და ეთიკურის დაბალანსების შესაძლებლობას.

გადამმუშავებელი მრეწველობა, როგორც ერთიან საწარმოო ციკლში დამატებული ღირებულების გენერირების ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი, კოოპერატივის ფარგლებში იძენს განსაკუთრებულ დანიშნულებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმის გამოყენებით, საწარმოო პროცესები ექცევა ერთიანი ციკლის ფარგლებში, სადაც წარმოების ყველა ეკონომიკურ საფეხურზე ადგილი აქვს დამატებული ღირებულების მატებას და პირველადი პროდუქციის მწარმოებელი მეპაიეები მიიღებენ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს. ასეთი ეკონომიკური სისტემის წევრები, დაინტერესებული არიან უფრო დიდი რაოდენობით და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებით, აქტიურად მონაწილეობენ პროდუქციის გადამუშავების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფაში, მარკეტინგში და კონტროლს უწევენ კოოპერატივის საქმიანობას სამეწარმეო საქმიანობის ყველა დონეზე.

დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ სამეწარმეო ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

საქართველოში სოფლად არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მცირემიწიანი მოსახლეობის ინკლუზიურ სამეწარმეო განვითარებაზე, რაც ყველაზე ეფექტურად

მიიღწევა კოოპერაციული პროცესის მხარდაჭერით. მიმდინარე პერიოდში სწორედ კოოპერაციული პროცესის აქტიური და ადექვატური მხარდაჭერით ყველაზე კარგად არის შესაძლებელი სოფლად სიღარიბის დაძლევის, მიგრაციული პროცესების შეჩერების და საშუალო ფენის ფორმირების რთული პრობლემების მოგვარება. კოოპერირების გარეშე, სოფლად მცირემიწიან და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას, პრაქტიკულად გრძელვადიანი სამეწარმეო განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია. კოოპერაციულ პრინციპზე დამყარებულ საწარმოო ურთიერთობებს განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი უჭირავს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისობრივად ახალ დონეზე გადასვლაში.

კოოპერატივებს შეუძლიათ აღძრან საზოგადოებრივი აქტივობა იმ სფეროებში, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება ბუნებრივად არ არის მოსალოდნელი. ამ ორგანიზაციების ფუნქციები მოქნილია და არსებული გამოწვევების ადექვატური. სახელმწიფოსთვის იგი წარმოადგენს რეალურად მომქმედ ძლიერ ელემენტს და დასაყრდენს მწვავე პრობლემების გადაჭრისას. ხელისუფლებამ უნდა ირწმუნოს, რომ ქვეყნისათვის აქტუალური საკითხების მოგვარება საზოგადოებრივი სექტორის მიერ, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს კოოპერატივები წარმოადგენს, შესაძლებელია.

საკითხი ეხება აგრარულ სექტორში არსებითად ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას, რომლის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს რეგულირების სხვადასხვა მიმართულების კომპლექსურ ხასითში, რაც აბალანსებს მის ფუნქციებს და წარმოადგენს საუკეთესო პლატფორმას საწარმოთა წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

ნაშრომის მეორე თავში ავტორი განიხილავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის სამართლებრივი რეგულირებისა და შიდასაწარმოო ურთიერთობების წესებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ინდენტობის

განმსაზღვრელ მთავარ კომპონენტს, რადგან სწორედ ამ წესების დანერგვით იქმნება ეკონომიკური გარემო, სადაც სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა საპაიო ფონდში შეტანილი მატერიალური სახსრებით დივიდენდების მიღების პერსპექტივა, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის შრომითი რესურსების უკუგების მაღალი ხარისხი. დასაბუთებულია, თუ რატომ წარმოადგენს კოოპერაციული სისტემის შიდასაწარმოო ურთიერთობის წესები სამეურნეო რისკების მინიმუმამდე დაყვანის, მზარდი ეკონომიკური ეფექტიანობის, მდგრადობის და სიცოცხლისუნარიანობის განმაპირობებელ ფაქტორს. კოოპერაციული პროცესის სამართლებრივი რეგულირება დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების მრავალმხრივ თავისებურებებთან, რომელთა სიღრმისეული გააზრების და დაცვის გარეშე, კოოპერატივები ვერ შეძლებენ შეინარჩუნონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მათი განვითარების და სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს.

ავტორის მიერ შემუშავებულია კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების ძირითადი კომპონენტების: საპაიო შენატანების და მოგების განაწილების პროგრამული მოდელირების ფორმულები. პრაქტიკაში კოოპერატივის საპაიო შენატანების და დივიდენდების გაანგარიშება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევასთან და უზუსტობებთან (განსაკუთრებით მრავალწევრიან კოოპერატივებში). შემოთავაზებული მეთოდი მნიშვნელოვნად გააადვილებს კოოპერატივში საქმისწარმოებას და გაამარტივებს კოოპერატივის მონიტორინგის და აუდიტის პროცესს.

მეპაიის საპაიო შენატანის გაანგარიშება:

$$P = (F_P - P_d - K - G) * E/E_a$$

P - სავალდებულო საპაიო შენატანი;

F_p - საპაიო ფონდი;

P_d - დამატებითი შენატანი;

K - კრედიტი;

G - გრანტი;

E - მეპაიის ეკონომიკური მონაწილეობა;

$E_a = \sum(E_1; E_2; \dots E_n)$ - მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობების ჯამი.

მეპაიის დივიდენდის გაანგარიშება:

$$D = (P_c - D_m - D_a) * E/E_a$$

D - დივიდენდი;

P_c - კოოპერატივის წმინდა მოგება;

$D_m = \sum(D_{m1}; D_{m2}; \dots D_{mn})$ - დამატებითი შენატანების მიხედვით დივიდენდების ჯამი;

$D_a = \sum(D_{a1}; D_{a2}; \dots D_{an})$ - ასოცირებული წევრების დივიდენდების ჯამი;

E - მეპაიის ეკონომიკური მონაწილეობა;

$E_a = \sum(E_1; E_2; \dots E_n)$ - მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობების ჯამი.

ამავე თავში წარმოდგენილია წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეტაპობრივი განვითარების და სამართლებრივი რეგულირების კუთხით, სადაც სახელმწიფოს მხარდაჭერა უპირატესად ორიენტირებული იყო უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლის დახმარებაზე, სადაც საზოგადოებას და ხელისუფლებას ადექვატურად ქონდათ გააზრებული ქვეყნის განვითარებაში კოოპერაციული სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აღწერილია, თუ რა როლი შეასრულა კოოპერაციულმა პროცესებმა ამ ქვეყნების ეკონომიკური გაძლიერებისა და დემოკრატიზაციის პროცესებში.

წარმოდგენილია ესპანეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, დანიის, ფინეთის, და იაპონიის მაგალითები, სადაც კოოპერაციული პროცესის მხარდაჭერა სახელმწიფოს პროგრესული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება ნათელს ხდის, რომ კოოპერაციული პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების, სოციალური საკითხების მოგვარების, წარმოების მასშტაბების ზრდის და

ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო ქმედუნარიანი აქტივობების განხორციელების კუთხით. განვითარებული ეკონომიკის ქვეყანების უმრავლესობამ სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტად სხვადასხვა ფორმის კოოპერაციული ორგანიზაციები (კოოპერატივები, ასოციაციები, კავშირები) აირჩია, რადგან ყველაზე კარგად სოფლად მოსახლეობის შრომითი რესურსების გააქტიურება, კოოპერაციული პროცესის მხარდაჭერით არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში კოოპერაციული პროცესები უმეტესად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერით ვითარდებოდა, რადგან მოსახლეობისა და მთავრობის მიერ ადექვატურად იყო გააზრებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაში კოოპერაციული სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მკაფიოდ არის გამოხატული ხელისუფლების დამოკიდებულება კოოპერაციული სექტორის მიმართ. ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა კოოპერატივებს ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერებისა და ბაზრების დახვეწის ერთერთ მთავარ მაორგანიზებელ მნიშვნელობას, რაც განაპირობებს კოოპერაციული მოძრაობის განვითარების მხარდაჭერისა და სტიმულირების პოლიტიკას.

სახელმწიფო ორგანოებს არა აქვთ უფლება უშუალოდ ჩაერიონ კოოპერატივების ეკონომიკურ საქმიანობაში, მათი მმართველი ორგანოების ფორმირებასა და თანამდებობის პირების დანიშვნაში. ასევე არა აქვთ უფლება წარმომადგენლები ჰყავდეთ როგორც საერთო კრებაში, ასევე არჩევით ორგანოებში. კოოპერაციული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი კომპონენტია კოოპერატივების კონტროლი, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა კანონმდებლობასა და მათსავე წესდებას.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კოოპერაციის წარმატებული მაგალითი იძლევა საკმარის მასალას, სისტემური ანალიზის საფუძველზე მათი პრაქტიკული და სამეცნიერო განზოგადებისთვის.

დასკვნა: კოოპერაციული სისტემის შიდასაწარმოო ურთიერთობის წესები წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის სამეწარმეო საქმიანობის დაბალანსებული განვითარების და სიცოცხლისუნარიანობის მყარ საფუძველს, რაც განაპირობებს მაღალი ეკონომიკური ეფეტიანობის, სოციალური სოლიდარობის და სამართლიანობის სისტემის ფორმირებას, რაც არსებითად განასხვავებს კოოპერატივებს სხვა სამეწარმეო ფორმებისგან.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია კოოპერაციული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების საკითხები, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას და საგადასახადო შეღავათებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკით დაინტერესებულ ყველა სპეციალისტს მიაჩნია, რომ ინვესტიციების ხელშემწყობი მექანიზმებისა და კრედიტებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული აგრარული პროექტების საინვესტიციო მხარდაჭერა, თუმცა სოფლის მოსახლეობისთვის კრედიტებზე მისაწვდომობა კვლავ ერთერთ მთავარ გამოწვევად რჩება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლების უმრავლესობისთვის, გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს საბანკო კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებითად განსხვავებული მიდგომები საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის კუთხით, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბანკო კრედიტთან დაკავშირებული პრობლემები და მაღალი ზედნადები ხარჯები.

ნაშრომის მესამე თავში დასაბუთებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის მაკოორდინირებელი ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა, წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით, რომლის ფუნქციებიდან ყურადღება გამახვილებულია შესაძლებლობაზე, გახდეს კოოპერატივის ასოცირებული წევრი და მისი შენატანის შესაბამისად მიიღოს დივიდენდი კოოპერატივის მოგებიდან და ამავე დროს, მისი წარმომადგენლების საშუალებით, უშუალოდ იყოს ჩართული კოოპერატივის მართვაში (გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო), რაც კიდევ უფრო შეამცირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის

სამეწარმეო რისკებს. ინვესტიციების დაცულობის კუთხით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობები, კოოპერატივის ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლი, ეკომომიკური თვითმმართველობა (თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვით-კონტროლი) და მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი წარმოადგენს საწარმოო რისკების მინიმუმამდე დაყვანის და სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს.

ასეთი პარტნიორული ურთიერთობის ფუნდამენტური მახასიათებელია სამაწარმეო რისკებისა და სარგებელის განაწილება, რითაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მაკოორდინებელ ორგანიზაციას, როგორც კოოპერატივის ასოცირებულ წევრს, მიეცემა კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდის მიღების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მისი საკუთარი კაპიტალის გენერირებაში და შესაბამისად, მის ეტაპობრივ გადასვლაში სახელმწიფოს დაფინანსებიდან, ეკონომიკურ თვითუზრუნველყოფაზე.

ამავე თავში დასაბუთებულია, რომ საქართველოში კოოპორაციული აგროსაკრედიტო სისტემის განვითარება წარმოადგენს აგრარულ სექტორში ძირითადი ფონდების რეკაპიტალიზაციის მიზანმიმართული პოლიტიკის მექანიზმს, რომლის დანიშნულებაა მისი წევრების შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიანობის გაზრდა. იგი მიიღწევა დაკრედიტების შეღავათიანი და გამარტივებული პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, სოლიდარული პასუხისმგებლობით, ურთიერთნდობითა და კორუფციული გამოვლინებების აღმოფხვრით.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის მთავარი კომპონენტია კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკი, რომლის შესაქმნელად განსახორციელებელია რიგი წინასწარი ღონისძიებები, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის განვითარებას უკავშირდება. კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის ფორმირებაში გამოყენებული იქნება „ქვემოდან-ზემოთ“ კოოპერაციული მეთოდი, რითაც იგი წინასწარ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, დაამყარებს წონასწორობას ქვემოდან განვითარებასა და ზემოდან კონტროლს შორის,

კოოპერაციული საფუძვლებისა და მაღალპროფესიული საბანკო საქმის წარმოების ორგანული სინთეზის თავიდანვე დანერგვის აუცილებლობის გათვალისწინებით. კრედიტის გაცემის პირობებზე ბანკის გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის მაკოორდინირებელი ორგანიზაციის რეკომენდაცია ბენეფიციარი კოოპერატივის საქმიანობის შესახებ, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რამდენად იცავს კოოპერატივი კანონით დადგენილ შიდასაწარმოო ურთიერთობების წესებს.

თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი კარგად ფუნქციონირებს და შესაბამისად, მისი კრედიტის დაფარვის შესაძლებლობა მაღალია, მაშინ მას შეუძლია მიიღოს გაზრდილი კრედიტი შემცირებული საპროცენტო განაკვეთით და ისჯება მაშინ, როცა მისი რომელიმე წევრი არ ფარავს თავის დავალიანებას. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ვერ იფარება, კოოპერატივის სხვა წევრები ვერ იღებენ დამატებით კრედიტს. მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ, ახალი კრედიტების საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე კოოპერატივების მიერ მათი ვალდებულებების პირნათლად შესრულების შემთხვევაში.

ამ სქემის საშუალებით, ბანკი შექმნის სოლიდარული პასუხისმგებლობის ძლიერ სისტემას, რაც განაპირობებს ვალდებულებების დაფარვის მაღალ მაჩვენებელს და იმავდროულად, გააუმჯობესებს კოოპერატივების ქმედუნარიანობას.

არსებულ ეტაპზე, საქართველოში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესმა გამოავლინა გარკვეული ცვლილებების და დამატებების შეტანის აუცილებლობა კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომლის მიხედვით მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შიდა საწარმოო ურთიერთობების მოწესრიგება, წევრთა შრომითი რესურსების მაღალ უკუგებაზე ორიენტირებული გამართული კოოპერაციული მოდელის ჩამოყალიბება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული პროცესის ეფექტური წარმართვისათვის, ამ პროცესის მაკოორდინირებელი ინსტიტუტის შექმნა. კერძოდ:

1. კანონში შეტანილი ბოლო ცვლილებებით და დამატებებით დადგენილია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მეპაიედ გახდომის მსურველმა პირმა საპაიო შენატანი უნდა შეიტანოს თავიდანვე, სრულად.

კანონის თანახმად ასევე დადგენილია, რომ საპაიო შენატანის ოდენობა განისაზღვრება კოოპერატივის მეპაიეზე მიწოდებული პროდუქციის ღირებულების, ან/და გაწეული მომსახურების პროპორციულად. კოოპერატივის ფარგლებში, მეპაიის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უმეტეს შემთხვევაში გადანაწილებულია მთელ საანგარიშო პერიოდზე, ეტაპობრივად, ამ ხარჯების გადანაწილების წინასწარ დაგეგმილი პერიოდულობის შესაბამისად. ამიტომ გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება თავიდანვე სრულად საპაიო შენატანის შესაბამისი თანხის მთლიანი მობილიზებით მეპაიეზე მძიმე ტვირთის დაკისრება, როცა სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა განიცდის საფინანსო რესურსების დეფიციტს და რაც ყველაზე მთავარია, ამ თანხის სრულად წინასწარ შეტანის საჭიროება არ არსებობს. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ბოლო ცვლილებებით და დამატებებით ორგანულ კანონში გაჩნდა ნორმა, რომელიც სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას პრაქტიკულად უშლის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაწევრიანების პერსპექტივას და კოოპერატივში მეპაიედ შესვლის შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ ფინანსურად ძლიერ საქმოსნებს. ისინი უკეთეს შემთხვევაში, მოსახლეობის შრომით რესურსს გამოიყენებან მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით, გადაიყვანენ მათ დაქირავებული შრომის რეჟიმში და საბოლოოდ მოუსპობენ ადგილებზე სამეწარმეო განვითარების პერსპექტივას. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულება ეკონომიკური პროცესების და მით უმეტეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიმართ კატეგორიულად მიუღებელია და გაუგებარია, რა მოსაზრებებმა განაპირობა ორგანულ კანონში კოოპერაციული პროცესის შემზღუდავი ნორმის დაწესება.

კანონის აღნიშნული ნორმა სასწრაფოდ არის გასაუქმებელი, რადგან იგი სერიოზულ პრობლემას ქმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული

პროცესის ინკლუზიურობის და საერთოდ, სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სასიკეთოდ მისი გამოყენების კუთხით;

2. კოოპერატივებში აუცილებლად უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭო, რაც საჭიროებს ასახვას კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს კოოპერატივის მეპაიეთა საერთო რაოდენობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე, საერთო კრება პრაქტიკულად უძლურია გააკონტროლოს კოოპერატივის გამგეობის, ხშირად ერთპიროვნულად მიღებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილებების მიღება და ქმედებები. თუ თვალს გადავავლებთ საერთაშორისო გამოცდილებას ამ კუთხით, დავინახავთ, რომ პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი ქმედითუნარიანი კოოპერატივი, რომელშიც არ არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭო;

3. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის განვლილი 6 წლიანი გამოცდილებით ნათელი გახდა, რომ რეგისტრირდებოდა ბევრი ისეთი კოოპერატივი, რომელთა მეპაიეების რაოდენობა არ აღემატებოდა 3-დან 5 წევრს. ასეთი „კოოპერატივები“ პრაქტიკულად არიან „კოოპერატივის“ სახელით მომქმედი საოჯახო მეურნეობები ან შპს-ები, რომლებიც ძირითადად იყენებენ დაქირავებულ შრომას და არაფერი აქვს საერთო კოოპერაციულ პრინციპებთან. ამიტომ აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაიზარდოს მეპაიეთა რაოდენობის მინიმუმი და განისაზღვროს: ბარში არანაკლებ 15, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების არეალში - არანაკლებ 7.

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის განვითარების პრაქტიკამ და სხვა ქვეყნების გამოცდილებამ ნათელი გახადა, რომ არსებულ ეტაპზე საქართველოში აუცილებელია ამ პროცესის მაკოორდინირებელი, დამოუკიდებელი ორგანოს არსებობა, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ".

დასკვნა: სამეწარმეო საქმიანობის კოოპერაციული მოდელი (განსხვავებით სხვა სამეწარმეო ფორმებისგან) და კოოპერაციული

შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები წარმოადგენს კოოპერაციული საფინანსო ინსტიტუტის (ბანკის) კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანის განმსაზღვრელ ფაქტორს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მაკოორდინირებელი ორგანოს და კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის ორგანული ურთიერთკავშირი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური მხარდარის ეფექტური სისტემის შექმნას. შესაბამისად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ამ ორი ინსტიტუტის არსებობა მოკლებულია ობიექტურ საფუძველს.

ზოგადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი სოფლად ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტაგნაციის, სიღარიბის და გაძლიერებული მიგრაციის გამომწვევი ფაქტორების სისტემური ანალიზი ადასტურებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განსაკუთრებულ როლს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურების, მასობრივი დასაქმების, წარმოების ინტენსიური ზრდის, სიღარიბის დაძლევის და მიგრაციის შეჩერების რთული პროცესის განხორციელებაში.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ თანამედროვე პირობებში, სოფლად მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის, რომელიც დღეს საქართველოს სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის, სამეწარმეო საქმიანობის სტრატეგიულად სწორი ორგანიზაციული ფორმების განსაზღვრას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

ქვეყნის ბუნებრივი საწარმოო თავისებურებისა და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების ანალიზით დასაბუთებულია, რომ საქართველოში არსებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან მათ გააჩნიათ სიღარიბის დაძლევის და კრიზისების გადალახვის ძლიერი პოტენციალი, შეუძლიათ უზრუნველყონ მოსახლეობის ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ცხოვრების მაღალი სტანდარტები და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაზე.

ქვეყნის აგრარული მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, თეორიულად დასაბუთებაულია, რომ გადამმუშავებელი მრეწველობა, როგორც ერთიან საწარმოო ციკლში დამატებითი ღირებულების გენერირების ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი, სწორედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კოოპერატივების ფარგლებში ნედლეულის გადამუშავების ორგანიზებით, მეპაიეებს მიეცემა ერთიანი საწარმოო ციკლის (პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია) შექმნის

შესაძლებლობა, საიდანაც ისინი მიიღებენ გაცილებით მეტ შემოსავლებს, ვიდრე მხოლოდ პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან. დასაბუთებულია, რომ კოოპერატივის ფარგლებში ვერტიკალურად ინტეგრირებული სამეწარმეო სისტემის შექმნით, მცირემიწიან და დაბალშემოსავლიან სოფლის მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა, გამოვიდეს შუამავალი პირებისა და შპს-ს ტიპის გადამმუშავებელი საწარმოების დისკრიმინაციული გავლენებიდან, რომლებიც საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეული) შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასით, რაც ავტომატურად იწვევს მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაფართოების მოტივაციის დაკარგვას, სამეწარმეო განვითარების პერსპექტივის მოშლას და სხვა თანმდევ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც ორგანიზაციული ფორმის ინდენტობის განმსაზღვრელ მთავარ კომპონენტს, რადგან მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, მხოლოდ კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების წესების დანერგვით იქმნება სოფლად ჯანსაღი ეკონომიკური გარემო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის სამეწარმეო რისკების მინიმუმამდე დაყვანას და შრომის უკუგების მაღალ ხარისხს განაპირობებს.

პირველად საქართველოში აგრარული მეურნეობის ეკონომიკის და სამეცნიერო კვლევების სფეროში, შემოთავაზებულია კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების ძირითადი კომპონენტების: მეპაიეების საპაიო შენატანების და დივიდენდების გაანგარიშების პროგრამული მოდელი. პრაქტიკაში კოოპერატივის საპაიო შენატანების და დივიდენდების გაანგარიშება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევასთან და უზუსტობებთან (განსაკუთრებით მრავალწევრიან კოოპერატივებში). მეპაიეების საპაიო შენატანების და დივიდენდების გაანგარიშების შემოთავაზებული მეთოდი ერთი მხრივ

გაამარტივებს კოოპერატივის მონიტორინგის და აუდიტის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად გააადვილებს კოოპერატივში საქმისწარმოებას და უზრუნველყოფს მისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისა და სწორად წარმართვისათვის, აუცილებელია მაკოორდინირებელი და მაორგანიზებელი ორგანოს არსებობა, წევრობაზე დაფუძლებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული ექნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მონიტორინგის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეფასების ფუნქცია და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რეკომენდაციის გაწევა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, რომელიც გამოსცემს პრძანებას კოოპერატივისთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების თაობაზე. მას დელეგირებული ექნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ფუნქცია, რომლითაც ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოახდენს მოსახლეობის სამეწარმეო მობილიზაციას და კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების წესების საფუძველზე, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის ფორმების გამოყენებით, ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის ქმედუნარიან ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას, სისტემური მიზნობრივი პროექტების საშუალებით.

არსებული გამოწვევების შესაბამისად, აუცილებელია შეიცვალოს ამჟამად ჩამოყალიბებული მიდგომები ეკონომიკურ პროექტებში სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო მხარდაჭერით და რეგულირებით აქტიურდება ის ფუნქციები, რომელთა განხორციელება არ არის უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო ბერკეტებით. სახელმწიფოს მიერ ადექვატურად უნდა იყოს გააზრებული ქვეყნის განვითარებაში კოოპერაციული სისტემის განსაკუთრებული როლი და ამ კუთხით წარმატებული არაერთი ქვეყნის მსგავსად, იგი უნდა ასრულებდეს განვითარების პროცესის

მაკოორდინირებელ, მაორგანიზებელ და მხარდამჭერ ფუნქციას. ამ საკითხის მიმართ ხელისუფლების აქტივობა ერთი მხრივ დაკავშირებულია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასთან და მეორე მხრივ - კოოპერაციული ინფრასტრუქტურის შექმნაში კომპლექსური მიზნობრივი მიდგომების გამოყენებასთან, რაც იძლევა რეგულირების ცნობილი მეთოდების ინტეგრირების შესაძლებლობას. კოოპერაციული სექტორის მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერის და რეგულირების მექანიზმის ოპტიმიზაცია ქმნის ხელსაყრელ პირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქმედუნარიანობის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

ნაშრომში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური გავრცელების ოპტიმალური ფორმა, რომელიც გულისხმობს სათემო კოოპერატივებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭებას. მათი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. ასეთი ტერიტორიული გავრცელების ნიშნით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო (სათემო) კოოპერატივები ქმნიან კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეკონომიკური ეფექტის გამოყენება და ამასთან ერთად - ადგილებზე მოსახლეობის რეალური სამეწარმეო შესაძლებლობების გამოკვეთა და კაპიტალიზაცია, რასაც ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომში წარმოდგენილია აგრარული მეურნეობის მხარდაჭერის არსებული არაეფექტური სისტემისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული სისტემური ეკონომიკური მექანიზმი, სადაც წევრობაზე დაფუძნებული სააგენტოს (ფედერაციის), როგორც ასოცირებული წევრის პარტნიორობა კოოპერატივებთან და კოოპერატივის მმართველ ორგანოებში მისი წარმომადგენლების უშუალო ჩართულობა წარმოადგენს კოოპერატივის მართვის მაღალი დონის განმაპირობებელ და ამავე დროს მისი საქმიანობის პერმანენტული კონტროლის ეფექტურ ბერკეტს. სააგენტოს, როგორც ასოცირებულ წევრის უშუალო ჩართულობა კოოპერატივის სამეწარმეო

საქმიანობაში გაზრდის კოოპერატივის ქმედუნარიანობას და შეამცირებს სამეწარმეო რისკებს, ხოლო მეორე მხრივ, სააგენტოს გაუჩნდება კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდების მიღების და საკუთარი კაპიტალის გენერირების შესაძლებლობა, რითაც განახორციელებს ეტაპობრივ გადასვლას სახელმწიფო დაფინანსებიდან ფინანსურ თვითუზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის სისტემაში, არსებული გამოწვევების ადექვატური, ქმედითი ელემენტების შეტანა, ხელს შეუწყობს ეფექტურ ინსტიტუციონალურ მოწყობას და შექმნის მყარ საფუძველს იმ წინააღმდეგობების გადალახვისთვის, რომლებიც აფერხებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრანსფორმირებას ფინანსურ ურთიერთიერთობათა მრავალფეროვან სისტემაში. ამ საკითხთან მიმართებაში დასაბუთებულია, რომ არსებულ პირობებში, მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება სოფლად სამეწარმეო საქმიანობის ინტენსიური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რადგან კომერციული ბანკების მხრიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გრძელვადიანი დაფინანსება, კომერციულ კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების და სხვა ფაქტორების გამო, უაღრესად გართულებულია. კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის ფარგლებში, სამეწარმეო საქმიანობის კოოპერაციული მოდელი (განსხვავებით სხვა სამეწარმეო ფორმებისგან) და კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები წარმოადგენს კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანის განმსაზღვრელ ფაქტორს.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის მიერ კოოპერატივზე გამარტივებული წესით და შეღავათიანი პირობებით კრედიტის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებას, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წევრობაზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული პროცესის მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ კოოპერატივების მონიტორინგის და აუდიტის მონაცემებზე დაყრდნობით გაცემული რეკომენდაცია, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რამდენად სწორად იცავს კოოპერატივი შიდასაწარმოო ურთიერთობების კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

აღნიშნული სააგენტოსა და კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის ორგანული ტანდემი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქმედუნარიანობას, ქმნის კოოპერატივების შეღავათიანი კრედიტებით უზრუნველყოფისათვის აუცილებელ, ურთიერთდახმარების, თავდებობის და სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაფუძნებულ კოოპერაციულ აგროსაკრედიტო სისტემას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის სწორი მიმართულებით განვითარების პირობებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისებრივად ახალი, პროგრესულ სისტემურ ცვლილებებზე ორიენტირებული ეკონომიკური (აგრარული) პოლიტიკის ფორმირება. ამისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ კონცეპტუალური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს აგრარულ სექტორში დღეს არსებული არაეფექტური ეკონომიკური გარემოს შეცვლის მექანიზმს, რომლის მთავარი მიზანია სოფლის მოსახლეობის ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

სამეცნიერო სტატიები:

1. „თემის სამეწარმეო მობილიზაცია - ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მექანიზმი“, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 30.06.2010, გვ. 54 – 58;
2. „კოოპერაცია - სოფლის მეურნეობის განვითარების ეფექტური მექანიზმი“, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, N4, გვ. 61 – 65;
3. „აგროკოოპერატიული პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხები“, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2018, N12, გვ. 72 – 82;
4. „კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობები - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2019, N1, გვ. 70 – 83;
5. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება ევროპის ქვეყნებში (ესპანეთის მაგალითზე)“, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2020, N3-5, გვ. 140 – 152.

საერთაშორისო კონფერენციები

1. „ქართული სოფლის აღორძინების სტრატეგია, თემის სამეწარმეო მობილიზაცია - საზოგადოების სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველი“, აკად. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“. მოხსენებათა კრებული, 2010, 8-9 ივლისი, გვ. 580 – 588;
2. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საერთაშორისო გამოცდილება”, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, სტუ, მოხსენებათა კრებული, 2019, 24-25 მაისი, გვ. 101 – 105.